უცხო ინვაზიური მერქნიანი სახეობების გავრცელების დინამიკა საქართველოს ტყეებში

გიორგი ბერიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბუნების დაცვის და მეტყევეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია აკობია

თანახელმძღვანელი: ვასილ მეტრეველი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბერიაშვილი

5/06/2025

გ. ბერიაშვილი

აბსტრაქტი

საქართველოში ინვაზიური მერქნიანი მცენარეების გავრცელება მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებასა და ტყის ეკოსისტემების სტაბილურობას. ნაშრომის მიზანია ინვაზიური უცხო მერქნიანი სახეობების გავრცელების კანონზომიერებების გამოვლენა საქართველოს ტყეებში და მათი კავშირი გეოგრაფიულ და კლიმატურ ცვლადებთან. კვლევა ეფუძნება „ტყის ეროვნული აღრიცხვის“ მონაცემებს და მოიცავს უცხო სახეობების რაოდენობრივ და სივრცით ანალიზს რეგიონების მიხედვით. კვლევისას გამოყენებული იქნა მრავალფეროვნებისა და სახეობრივი სიუხვის ინდექსები, ასევე გენერალიზებული ადიტიური მოდელი (GAM), რომლებმაც გამოავლინეს მნიშვნელოვანი კავშირი უცხო სახეობების გავრცელებასა და სიმაღლეს, დასახლებებთან თუ მდინარეებთან დისტანციას შორის. შედეგები აჩვენებს, რომ უცხო მერქნიანი სახეობები უფრო ფართოდ არიან გავრცელებული დაბლობებში და დასახლებებთან ახლოს მდებარე სახეცვლილ ტყეებში, რაც ხაზს უსვამს ადამიანის აქტივობის გადამწყვეტ როლს ინვაზიის პროცესში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოადგენს საბაზისო საფუძველს საქართველოში ინვაზიური სახეობების მონიტორინგისა და მართვის ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად.